


F 59  
1885

№ 1 1885



საქართველოს  
ხალხური მემკვიდრეობის  
სამუშაო განყოფილება

# გეგმათი



მიიღება ამ 1885 წ. „ნობათი“-ს ხელის-მოწერა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ერძთა სავითხავი წიგნი:

	გვერ.
I. მამა და შვილი. ლექსი. ს. ნასრიძისა . . . . .	3.
II. როგორ მიეგება სვიმონიკა ახალ-წელიწადს. ეკ. გაბაშვილისა.	5.
III. მოგზაურობა ოთახში, კუროში & ბაღში. სე. ანისა . . . . .	14.
IV. ბერი-კაცი და ღვეი. ხალსური ზღაპარი. მ. ნასრიძისა . . . . .	21.
V. სჯობს საქმე თვით შენ ეცადო, ვიდრემის სხვას მოუცადო ა. ნ—ძისა. . . . .	23.
VI. ზამთრის სურათი. ლექსი ცახკელისა . . . . .	25.
VII. მუქთა-ხორა. ხალსური ზღაპარი შ. ე—ძისა . . . . .	26.
VIII. მოლღუანგ მოცარტი. ისტორ. მოთხ. ს. მგალობლიშვილისა.	30.
IX. ჭიზიკა: წყალი და ძისი თვისებანი. ა. შარინაშვილისა . . . . .	40.
X. ზამოცანები, რებუსი და სხვ. . . . .	52.
XI. მკითხველს (ედასკედ)	

წარსული 1884 წ. „ნობათი“ ღირს ოთხი მანეთი. სოფლის მასწავლებელთათვის, რომელნიც ორი წლისას ერთად გამოიწერენ, გაგზავნით ეღირება სულ შვიდი მანეთი.

„ნობათი“-ს დამატებას ესლა ვერ ვეკვდავთ; სამაგიეროდ, შემდეგ წიგნში გამოვა ორ-კეცად.



ი ბ ზ გ მ ე

ივანოვიძის ვახუშტი

დაბრუნების მოტივების

ბეჭდვები

თბილისის გამომცემლობა

*Дозволено цензурою. Тифлиси, 23 Января 1885 г.*

.1 9.

ბეჭდვის სახელი

სტამბა ი. მელიქიშვილისა.



ა ა ა და უ ვ ი ლ ი.

**მ**ანო მამას მოესვია  
 მკითხვა მისცა უცნაური:  
 „მითხარ, მამა, გენაცვალე,  
 ვინა ეს ენა — ჰური,

—  
 ესე ნაზად რომ ბიბინებს,  
 მოღაზღაზებს ოქროს ფერად  
 ზ დასრილი თავ-თავებით  
 თვალს იტყუებს თვის სამსერად?“

ა . ა . ა .

„— აი, შვილო, რასაც ჰხედავ,  
 ეს სულ მთლად მე ზ შენია:  
 ზოგი ესლა შევიძინე,  
 ზოგიც შევლთ დანაშთენია.

—  
 აი, ის სოდაბურიკი,  
 კლდე რომ გამოჩანს სრამშია:  
 ათი წელია მას შემდეგ,  
 რაც დედას მოჰქევა ქრთამშია,

მაგრამ, რადგან კლეხნი მიუვარს,  
ვსცდილობ კიდევ მათ საშველად,  
ავდექი და მცირე ფასად  
მათ მივეცი მოსასვენებლად.“

შ გ ი ლ ი.

„— ესლა მანც გაკეთდება  
ხვენი საწუალი ზურია:  
სარხო წელს ბევრი ექნება,  
უსვად მოუვა ზურია;—

ესლა მანც გამოიცხობს  
ქადა-ზურს, ნახუქს, ღავაშებს;  
ზოგს გაჭყიდის ზე შემოსავს  
დატიტვლებულს თავის ბავშვებს.“


მ ა მ ა.

„— არა, შვილო, კლეხს არ უევარს  
ნახუქი ზე ქადა-ზურა:  
მის დღიურ ლუკმას შეადგენს  
ცივი მჭადი ან მჭად-ზურა...“

ს. ნასარიძე.



როგორ მიიღება სვიმონიკა ახალ-წელიწადს.



იორგოზის თვა  
იყო. ერთს სუ-  
სსიან დღეს ჰა-  
ტარა სვიმო-  
ნიკა თავისმა  
ბიძია ივანე-სა-  
ბაზმა ქალაქში

შემოიყვანა. სვიმონიკა იქნებოდა ათის ან თერთმეტის წლისა, ძალსაჲსი, ჰატარა, შავ-თვალა და ცოცხალი სასის ბიჭი. ის კაცობით უუურებდა განიურად გადაჭიმულ ქალაქს ზ ვერ წარმოედგინა, თუ რა იყო მიზეზი, რომ სახლები, საყდრები ზ სხვა ქალაქის შენობები ისე ჭერესივით ევარნენ ერთმანერთსედ. იმერეთში კი, საიდგანაც ესლა ეს მოდიოდა, სულ სხვა იყო. იქ სახლები ისე შორს სდგანან ერთმანერთსედ, რომ ძალზე დაიღლებოდნენ სოლმე ამის ჰაწია ფეხები, როდესაც მას საძეოზობლოდ გაგზავნიდა ბებია თავის ბიცოლასთან.

ქალაქის სმაურობამ, კეიხაქების გრიადმა, <sup>გრიადმა</sup> ~~სმაურობამ~~ <sup>სმაურობამ</sup> და მიმსუღელ-მოამსუღელმა ხალხმა ისე გამოაბტერეს საწუალი ისედაც გრძელის გზით დაქანცული სვიმონიკა, რომ გაბრუებული დაეშვა ტანტის ცარიელ ფიცრებსედ თავის ბიძის სახანაზოში ჭ გათენებადინ ფუხი არ გაუნძრევია.

ბიძიამ მეორე დღესვე მიანარა სვიმონიკა წიგნის სასწავლებლად ერთს ავს და უგულო ბებერ დედაკაცს სიონის ქუჩაში.

— ერთ წელიწადს გახლდეს, შენი ჭირიძე, მოწიწებით ეუბნებოდა იუანე-საბასი მოკუსულ ელისაბედს: ასწავლეთ წიგნი და შერე, რაკი წიგნს ისწავლის ჭ საძსახურში გაიწრთვნება, თქვენ თითონ დაუნიშნეთ ცოტადენი ჯამაგირი. ერთი საცოდავი ობოლია, დედა არსადა ჭეავს ჭ მამა. თქვენი ღვთის გულისათვის მალე ჩააცვით რამე: სამთარია და სიცივით მოკვდება, ე უბედური.

— კარგი, შვილო, კარგი. ჩაგცმევ მამა. კვრე დაფხრეწილი ხომ არ ვატარებ, რა საკადრისია, უთხრა ელისაბედმა იუანეს და სვიმონიკას თავსედ სელი გადაუსვა.

— აბა, ვინძლო, არ იქურდო, არ იცუღლუტო და მე ვიცი ჭ შენა. ეს ერთი ადამიანი ვარ ჭ, აბა, რა გაგვიჭირდება, შვილო!



— ძამ შვიდობით, შენი ჭირიძე!.. დაბლა თავი დაუგრა ივანემ და გაკიდა.

სვიმონიკა მანამ ბიძისთან იდგა, უოხლათ გამოიურობდა თავის ზატარა ძალსაზ თვალებით, ძვრანდ, როცა იმან კარები გაიხურა, ბიჭს ამ სახლში სუეეღაფერი ისე ეუცხოვა — ელისაბედის ბორბტი თვალებიცა და ჭაერ-შეგუბებული ოთახიც, — რომ გული აუღუღდა და ძღუღარე ცრემლები ვადმოჭვარა.

— სუს, სუს! შეუტია ელისაბედი: ასუს! აღარ დავინახო შენ თვალსედ ცრემლები! კესძის? და მაშინვე საქმეს შეუყენა.

— მოდი, აი, ჭიდვან წვალი ამოიღე. ძერე ვაცხელე. ეს ქვაბები დასეხე; ძერე ეხო დავავე. აბა, ჩქარა! შე სოხინა არ მიუვარს.

ამ რივად ზატარა სვიმონიკა დაუყოვნებლივ შეუდგა თავის საქმეს და დილიდვან საღამომდე ჭანანს ეწეოდა.

„სვიმონიკო, მოიტა, სვიმონიკო, წაიღე.“ „სვიმონიკო, წადი, იეიდე;“ „სვიმონიკო, განეხე, გარეცხე, საშოვარი დადგი, ცეცხლი აანთე, წვალი ამოიღე,“ შეუწვეეტლივ მოესმოდა ბრძანება ზატარა ბიჭუნას. ეს ძთელი დღე თითქმის ჩაუფერსებლად ფეხსედ იდგა და საღამოსედ, როდესაც დაღალულ-დაქანცულს მუხლეობში წვალი ჩაუდგებოდა, ელისაბედი დასვამდა იმას



იატაკზე; თვითონ-კი ახლოს, წინდით სელში, ჩაძოკ-  
ჯდებოდა ტახტსედ და დაუწევდა წიგნის სწავლებას.

სვიმონიკას სთვლემდა და ასოები იმის თვალში  
სულ ლეკურ-ბუქნას თამაშობდნენ. ეს უაზროდ იძეო-  
რებდა ელისაბედის ნათქვამს და, თუ შესცდებოდა, ვაი  
იმის ბრალი—თხლაძანი თავში; მეორე შეცდომასე—  
ჩქმეტა ზე მესამესედ უვანშმოდ დამინება გაეინულ სამ-  
სარეულოში, ჩვეულებრივი დასჯა იყო საწყალი მო-  
წაფისა.



გავიდა ორი თვე. ანბანი ასო ტ (ტარანდის) გაე-  
სწავირებინა სვიმონიკას ზე ამის ჯილდოთ ტანი ლურ-  
ჯათ ჭქონდა აჭრელებული და თავი გამობრუებული  
თავში ცემითა. ამის ტანთ საცემელს შეადგენდა გრძელი  
გახუნებული ქალის კურტკა მუდისა ალაგ-ალაგ ამო-  
კერებული სხვა ფერი მუდის ნაჭრებით; ფეხსე ყვავ  
დიდრონი, ქუსლებ-მოგრესილი ქალის ბაშმაკები.

ასალ-წელიწადი ღამე დადგა. ის იყო შებინდდა.  
ელისაბედმა საღაფეთქში გახვეული საქსონის ჯამი მის-  
ცა სელში სვიმონიკას და გაიყოლა ბაზარში თაუ-  
ლისა და ნიკვსის სასყიდლათ სახვადლიო კოწინაუი-  
სათვის.

საშინელი საქმე შეემთხვა საცოდავ სვიმონიკას,  
როდესაც, ვაჭრობის შემდეგ, შინ ბრუნდებოდნენ. ეს

ნელა-ნელა მისდევდა უკან თავის ქალბატონს; ცხელ  
სედაში ეჭირა საღმრთოებში გასვეული თაფლით სავსე  
საქსონის ჯაბი და მეორეში ქალაქის ჰარკით ნიგო-  
ზი. ეს ჰირ-დაღებული შეჭურვებდა სილით აჭრელე-  
ბულ შუა-ბაზრის დუქნებს და ვერც-კი შენიშნა, თუ  
როგორ მიუახლოვდა იმის ტოლა ბიჭი, ქალაქის  
კინტუა, და გამოჰგლიჯა სელიდგან საღმრთოები. სვიმო-  
ნიკამ სამინლად შეჰკვივლა და ნიკოსის ჰარკიც გააგ-  
დო სელიდგან.

ბაზარში აყალ-მყალი შეიქნა... ჰატარა კინტოს  
აქეთ-იქიდგან გამოუდგნენ. იმან, რომ ნახა ცუდათ  
არის ჩემი საქმეო, დაზღო საღმრთოები და ხარხარით  
შინისაკენ მოჰკურცხლა.

ელისაბედი სამინლად გაკერვდა.. ამან სრულებით  
დაჰკარგა კაცობრიული სასიერება და ცოცხალ კუდი-  
ანს დაემსგავსა. წაავლო კისერში ხელი უბედურ  
სვიმონიკას და შეითრია თავის სახელში. წაიგდო ფეხ  
ქვეშ, თმები სულ ბლუჯა-ბლუჯათ აგლიჯა, უორები  
სრესით სულ დაუსისხლა. — როგორ? გაკანასკნული  
ღრიალებდა ის: შენ გატყვე ის მშვენიერი საქსონის  
ჯაბი, რომლითაც მთელი ორმოცი წელიწადი აბრ-  
ძიანი მიდგა სოლმე სანათლილეოთ. შენ გატყვე, შენა,  
ძაიძუნო, ეშმაკის ბარტეო! და თან, რაც ძალი და ღო-  
ნე ჰქონდა, უბარტყუნებდა თავ-პირში.

სვიმონიკას ღრიალი ცაბდინ ადიოდა, მაგრამ  
მშველელი კი არაზინ იყო.

ბოლოს, როდესაც ელისაბედი შოილადა, გაბლო ქუჩის კარები და ისე ღონივრად კანტეფორცნა იქიდ-  
გან სვიმონიკა, რომ ის საცოდავი ჰირქვე კეინართსა  
ქვით მოკირწულულ ქუჩასედ.

— წადი, უთხარ შენ იმლიკ ბიძიას, რომ, მანამ ჩემ  
ჯამს, თაფლს და ნიგოზს არ მიხლავს, მე შენი მე-  
ძომძვეები არა ვარ სახლში, სედ დაუმატა ელისაბედ-  
მა და ალბაფის კარები მაგრა მოჭკეტა.

სვიმონიკა დიდხანს ეგდო გარეტეხული ქუჩასედ.  
მერე წელა წამოდგა, თვალები მუჭით აბოიწმინდა და  
წაჰვიდა. წაჰვიდა სად, ვისთან?.. თითონაც არ იცოდა.  
ქალაქი ისეთი დიდია, ქუჩები ისეა ერთმანერთში არე-  
ული, რომ ხაში ჰატარა-ბიჭისთვის შეუძლებელი იყო  
მოკაზრებინა, თუ სად უნდა ეპოვნა თავისი ბიძა ივა-  
ნიკა.

ეს შეუდგა განათებულ შუა ბაზრის ქუჩას ჯერ  
ზმუილით, მერე თან-და-თან გაერთო ბაელების კეინა-  
სედ. „აქეთ თაფლი, მაქარ-თაფლი!“ ჰევიროდენ ისინი:  
„გაზაიაფეთ, აქეთ, აქეთ!“ იწვევდნენ მოვაჭრეთ, რომე-  
ლნიც ბუხებივით ირეოდნენ ამ ვიწრო და ტალახიან  
ქუჩასედ.

სვიმონიკა შეუნიშნავად გამოვიდა გოლოვინის ჰრო-  
სნეკტსედ. ეს ჰირველად სედაგდა ქალაქს ღაძით და  
გაოცებული შესცქეროდა დიდრონი ძალახების განა-  
თებულს ფანჯრებს; ნერწვევის ელანვით აკვირდებოდა

შუშებთან გამოწეობილ ათას-ნაირ სასახლელო ხან-  
კეულს, სათამაშოებს, სხვა-და-სხვა ვარაუიან ქალა-  
დის აჭრელებულ ყუთებს, კამფეთებით სავსე კალა-  
თებს. ჰატარა, მძვინვრად მორთული დედოფლები,  
მაღაზიის ფანჯრებში გადმომსხდარნი, ხომ ცრუმორწ-  
მუნეებს სძრავდენ ამაში და ჭინკებად ეჩვენებოდნენ ამას.

ეს ხან იცინოდა, ხან სტოდა, ხან თავისათვის  
რადებდასაც ლაპარაკობდა...

ქალაქი მთლად ჭირსლში იყო გასვეული. ეკიპა-  
ქის ფანრები შორიდგან რადაც მოძრავ მანქანებს  
ემსგავსებოდნენ. ჰატარა ყმაწვილები, თავით ფეხებამ-  
დინ თბილებში გასვეულნი, თავიანთ დედ-მამასთან  
მხიარულად ჭიკჭიკებდნენ და დაუუონებლივ შედიოდ-  
გამოდოდნენ მაღაზიებში: იქ თავის ნებით ირჩევდნენ,  
რაც ჰსურდათ, და, დატვირთულნი მრავალის საჩუქრე-  
ბით, აღტაცებით მიილტოდნენ შინისაკენ.

შუა ღამე შეიქნა... ქარი ამოხსინდა. ჭირსლი  
თითქო ხომ-კაკალად გადაიქცა და თავსა და ჰირში  
აფრიდა მიძავალთ. ხალხის მსვლელობა თან-და-თან  
შესწყდა. აქა-იქ დუქნების კეტა დაიწეეს.

საწუალმა სვიმონიკამ, გალურჯებულმა, მოკუ-  
ტულმა სიცივისაკან, სირბილი დაიწეო ეს აქამდინ  
ისე იყო ვართული ამდენის უნახავის ნახვით, რომ  
სულ დაბუიწედა სიცივეც, ცემაც და ისიც, რომ ამო-  
დენა უხარ-მახარ ქალაქში ძარტო და უპატრონოდ



დაესეტებოდა. მაგრამ ესლბ კი, როცა ხალხი შესვე-  
და, დუქნებს კეცა დაუწევს, ეს გამოფინსლდა, მოა-  
კონდა თავისი მდგომიარება და ტირილი დაიწყო.

ამის ტირილს უურიც არავინ ათსოვა. სუეველა-  
ნი მიეჩქარებოდნენ, სუეველას თავის ოჯახის ბედნი-  
ერება მიელოდათ თბილ სადგურებში, და ჰატარბ ტი-  
ტველბ ბიჭის ვავლახს ვერც კი ნიშნავდნენ.

დუქნების წინ ასასნები გამოვიდნენ. ბქა იქ უუდრო  
ალავებზედ ლოკინის მხადებბს შეუდგნენ. ერთბ ამბთ-  
განბ რბმდენჯერბე ვადბავლო თვბლი ბმ ჰბწიბ, უბბ-  
ტრონო ქმნილებბს და გულები ბვერი რბმებბ ვბბს  
სენდა. ამბს მობკონდა თავის ღბრბბი ოჯახბი არზ-  
რუმბს მბსრბბი: ნბსვებრზედ დბნგრეული ქბსბ, სბ-  
ცივისბგბნ და ლურჯებული თავისბ ჰბტბრბ შევილებბ  
და გულებბნად ამბობსრბ:—ბრბბკ, შებლო! ვბნ იციბს,  
შენც ბმ ბიჭბვიდ გბბბნ და გცივბ და მე კბ ვერბს  
გშველი! წბიტუტუნბ იბბნ.


მბნბმ გვერქბ-გრო ბმ ფბქრებში იყო კბრთული  
და ლოკინს იბმხადებდა, სვიმბონბკ იბბს გბსცილებდა, ზე-  
მბთ გბბქვბ, რომ სბრბბლით მბბნც გვეთბო თავისბ  
გბეინული სსეული.

ბოლოს, სრული სბხუმე ხბმოვბრდა ქბლებქში. ვეკ-  
ლბს დბემბნბ. ვეკლებბნ სბნთლებბი ხბჭქრენ, მბრტო  
ქუბის ფბნრებბ-და ბეუტბვდენ. ბბნვრბს ქბრბს ზუზუ-  
ნბ შბბბთ გულებს უვსებდენ გზბ-დბბნეულს, სბცოდბგს,



დობოლ-ოსერ ჰაწაწკინა სვიმონიკასა. ის ისევ  
დაბრუნდა უკან, ტროტუარდგან გადსვევისა ეშინო-  
და. სსვა ქუჩები უფრო ბნელად და მიერუებულად გა-  
მოიურებოდნენ... ბოლოს, ძალა სრულიად წაერთვა,  
შიმშილმაც ძალსედ მოუჭირა და ფესსედ დგომა  
აღარ შეეძლო... ეს ჰატარა ლეკვივით დუქანთან ასა-  
სის ლოგინს წაატედა... ორად მოიკუნტა, სელ-ფესი  
და თავი ასასის სახურავ ტეაფს მიაკრა და ზურგი  
იანვრის ეინვას მიუშვირა... ბურანში წავიდა, მაგრამ  
ძილშიაც წშუკუნებდა.. ამის კბილებს კანკალისგან წა-  
კა-წუკი გაუდიოდა... სვიმონიკა უფრო და უფრო იკუნ-  
ტებოდა და ასასის ლოგინს ეგროდა...

გაბაჟილისა.



მ რ ვ ზ ა უ რ ო ზ ა

ოთხში, ეზოში და ხალში.

ბ ა.



წოდა რამე კარგი ეძებვილია კოტე, სოქვა გიგომ, როდესაც მესობლიანთ კოტესაგან დაბრუნდა: საბრალო, ცოტა უქვიყოდ არის. იცი, სანდრო? რაც შენ წყდან მითხარ, ეველაფერი ვუამბე კოტეს და იძანაც მიხასუსა: „მეც მინახავს კირის გამოწვაო, დამე ლამასი სანახავიაო...“ — მართლა, სანდრო, წყდან სის მასალაზედ უნდა გეამბნა: მოდი ახლავე დაიწეე, თორემ სადილს შედეგ ჩემი მეგობრები მოვლენ და სათამაშოთ დამიძახებენ; მინდა ესლა გავიგო, რომ დღესვე ჩემ მეგობრებსაც ვუამბო, სთხოვდა გიგო სანდროსა.

— მას თუ გინდა ახლავე გიამბო, გაიქეც დურგალთან, ჩვენ ზირ-და-ზირ რომ ქარსანა აქვს, ჭ სხვადა-სხვა სის ზატარა ნაჭრები სთხოვე.

— რათ გინდა, სანდრო?

— როცა მოიტან, დანინახავ ჭ გაიგებ, რათაც მინდა.


გიგო მარდათ გაიქცა, ძალე მოირბინა ჭ კალთა სავსე სის ნაჭრები მოიტანა. სოგი ნაჭრები ერთი სი-

სავე იყო და ამიტომ ეველა ხისა თითო ამოვარდნილი  
და ცალკე ვადავაწვე.

— შენ ტივი ვენახვება, გიგო. არიან კი ისეთი  
ქმევილები, რომელთაც არ უნახავთ ჭ არც იციან,  
რა არის ტივი; ამისათვის, ურიგო არ იქნება, ამახედ  
რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ. შენთვისაც საუუნადლებო  
იქნება, რადგან, ტივი კი ვენახვება, მაგრამ იმისი და-  
ნიშნულება არ გეცოდინება...—ტივი არის მოჭრილი  
სკები შევრულნი, ან ერთი ერთმანერთხედ ვადაბმულ-  
ნი, წვალში სავალად. ჩვენში ხეებს წნელებითა ჭკრა-  
ვენ, სოკიერთ სხვა ქვეყნებში კი თოკით ჭ ჯაჭვითა.

— ძამ წვალში, სანდრო, სულ ტივით მოგზაუ-  
რობენ?

— წვალში სავალად ჭკრავენ-მეთქი რომ ვსთქვი,  
ძართლა ხალხის სამოგზაუროთ როდია; ამისათვის  
ოკეანეში, ზღვაში და დიდრონ მდინარეებზედ სომალ-  
დებია ჭ კემები; წვრილ მდინარეებზე, სადაც კემები  
წელის სიზატარავის ვამო, როგორც იტყვიან, ფესს  
ვერ მოიკიდებენ, იქ ნავეები დასცურავენ. ტივს კი სრუ-  
ლიად სხვა დანიშნულება აქვს... წარმოიდგინე, ჩემო  
გიგო, რომ ჩვენ თბილისში ვცხოვრობთ. სახლის ასა-  
შენებლად, ვსთქვათ, ბევრი ფიცრები, ჩარჩოები ჭ ხის  
სხვა მასალა დაგვჭირდა. თბილისს ახლო ისეთი ტეე  
არა აქვს, რომ იქ სამასალე ხეების მოჭრა და ჩამო-  
ტანა შეიძლებოდეს. ქართლში ამისთანა ტეეები ბევრია.



ჩვენ იქ მოვაჭრეებით რამდენიმე უმჯობესებულ  
და უნდა ჩამოვიტანათ. კამეჩებით ჩამოტანა თითქმის  
შეუძლებელია; შესაძლოც რომ იყოს, ძალიან ძვირად  
დაჯდება; რკინის გზით ჩამოტანასაც ბევრი ხარჯი  
აქვს; წყლით ჩამოტანა კი სულ სხვაა: წყალი ქირას  
არა გვთხოვს, ქერსა და ბესსა. შეგარ წყალში ტივი,  
თავში და ბოლოში ოშთაუვირები \*) გაუკეთე, დაუ-  
ჯექ და ჩამოასრიალე...

ქართლიდან ჩვენში მტკვრით ძალიან ბევრი ტივი  
მოდის. რადგან მტკვარი სოკან ვიწრო ადგილებში  
მომდინარეობს და მასთანვე ჩქარი წყალია, ამისათვის  
ნატარა ტივებსა ჰკრავენ: სიგანესედე ათი სეა შეკრუ-  
ლი და სიგრძესედე გადაბმულია ორ-ორი სე, ასე რომ  
ტივში სულ ოცი სეა.

სოკიერთ ქვეყნებში, სადაც მდინარეები წინარად,  
ფართოდ, განივად მომდინარეობენ, იქ თითო ტივში  
სიგანესედე ორმოცი და ორმოცდაათი სეა შეკრული  
და სიგრძესედე გადაბმულია ათი-თორმეტი სე.

საიღამაც წყლით ხეების ჩამოტანა შეუძლებელია,  
იქ ხეებს ფიცრებად ან ჩარჩოებად შივ ტყეში ან ტყის  
ანლო გამართულ ქარხანებშივე ასერსუნებენ და ურ-  
ძებით ან „პოვოცკებით“, ღ თუ ძალიან მთიანი ადგი-

\*) ოშთაუვირი ნავის მოსასმელ ნიჩბსა ჰკავს, მხოლოდ სე-  
მად ვძრედა და ტივის თავსა და ბოლოში უკეთებენ. ოშთაუვირით  
ტივის თავსა და ბოლოს საჭიროებისამებრ მიატრიალ-მოატრიალებენ.



ლია, ძარხილებით ჩამოაქვთ. ზოგ მთიან ადგილებში,  
თუ რომ მთა გზისაკენ ან წელისაკენ არის დაშვებუ-  
ლი, მოჭრილ ხეებს მთიდგან დაუშვებენ & ამ გვარად  
ხე ხეყდ ჩამოსრიალებს...

ესე, მოაქვთ ხეები, ჩემო კარგო, და შეძვევ ფი-  
ცრებად და ჩარჩოებად ხერხავენ. ამ ფიცრებსა & ჩა-  
რჩოებს სასლის ასაშენებლადა სძარობენ. ხეების და-  
საჭრელად ქარხანებია გამართული. ზოგ ქარხანებში კა-  
ცები ხერხავენ და ზოგში კი ორთქლის მაშინებია; ამ  
უკანასკნელში კაცები მხოლოდ ხეებს ხერხს უძარჯვებენ.

ზოგი ხე გრძელია, სქელია, ზოგი კი წმინდა,  
მოკლე; ეს დამოკიდებულია სის წლოვანობასყდ და  
იმ ნიადაგსყდ, სადაც ხე ამოვიდა და გაიზარდა.

— სის წლოვანობას როგორ შეატკობენ ხალხე, აჴ?

— გეტყვი, ცოტა მოთმინება იქონიე. ზოგან ასაღ-  
გაზდა ტევა და, თუ ამ ასაღგაზდა ტეის ასლო მცხოვ-  
რებლებს დასჭირდათ მასაღა, რასაკვირველია, მოს-  
ჭრიან & ინძარებენ. ზოგან სხვილი ხეები სულ მო-  
ჭრილია & ძაღა უნებურად წვრილსა სჭრიან. უცხო  
ქვეყნებში, გიგო, ისეთი დიდრონი ხეებია, რომ თი-  
თო სის ტოტებში ათას-ორასი ადამიანი თავისუფლად  
შეეფარება & მასთანაჴე იმ სისქეა, რომ მის ძორსყდ  
სამოც-და-ათი კაცი ადვილად დაეტევა.

წელან მკითხავდი, სის წლოვანობას როგორ შეი-  
ტეობენო... ხერხით მოჭრილ ხესყდ უეჭველია შენიძ-



ნაჯდი ძრგველი ხაყებს. ამ ხაყებს ჰქვიან წლიურნი-წიგნი-  
ლები, რადგან თითო რგოლი ერთი წლის განმომავ-  
ლობაში ესრდება. საიღამ და როგორ იბადებიან ეს  
რგოლები, ავისსნი ძაძინ, როდესაც მცენარეებზედ ძქ-  
ნება ღაზნარავი, ბაღში მოკსაურობის დროს.

ყველა გვარი ხე, ძაგ. მუსხა, ფიჭვი, ნაძვი, წიფე-  
ლი & სხვა, ერთი ერთმანერთისაგან განიჩქვიან ფე-  
რით, მენობით, სიძავრით & სხვა... ძავალითად, ავი-  
ლოთ ფიჭვის სის ნაჭერი. აბა კარვად დააკვირდი!..  
აი მუსხის ნაჭერი, ესეც ნაძვი!.. ამავე სის სხვა ნაჭე-  
რი რომ ძეგხვდეს, უბაჟალია იცნობ.

ნედლი ხე ძასალად არ გამოდგება; ამისათვის სა-  
ძასალე ხეებს ახმარებენ. ძაჭრილი ხე ჰირველად ძა-  
ლე ხდება & შემდეგ კი ნელ-ნელა, საძი წლის გან-  
ძავლობაში ხე იმდენად ხდება, რამდენად შესაძლოა გა-  
ხმეს ჰვარძი, ცის ქვეშ. როცა ხე ხდება, ძასში მყოფი  
წყალიც ჰქრება, სის შემადგენელი ნაწილები ერთი ერ-  
თმანერთს ეკვრიან და ამიტომ ხეს სიურცე აკლდება  
სოლიძე. ხშირად, თუ ძასალა ხეელი არ არის, საგან-  
კებოთ ახმობენ ადულებულ. წყლის ორთქლით, ან  
ოთახს ათბობენ და ძიგ აწეობენ სის ძასალას.

გარდა ამისა ხეს, როგორც კირსა, აქვს ის თვი-  
სება, რომ წყალი, ან სისველე შეისვას; ხე იუღინთე-  
ბა და ვრცელდება. თუ შევინიძნავს საფსულში კარე-  
ბი და ფანჯრები უფრო ადვილად იღება და ისუ-  
რება ვიდრე ხაძთარძი.

ეველა ეს მიზეზები დურგაღს მხედველობაში აქვს მიღებული და ამიტომ კარებს, ფანჯრებს & სხუ. ერთი ნაჭრისას არ აკეთებს. ჯერ ჩარჩოები უნდა გაკეთდეს & მერე ჩარჩოებში ფიცრები ჩაისვას. როცა ხე ეველგან ერთნაირად არა ხმება, ან არ იკვლინთება, იგი ბრუნდდება. ერთნაირად არა ხმება იმიტომ, რომ ხე ეველგან ერთი სისქისა, ერთი ხორცისა არ არის. სის თხელი ადგილი უფრო ძალე ხმება, ვიდრე სქელი...

ძამასადაძე სის ძასაღას უმთავრესი წუნი ძამჰინ ექნება, თუ იძას სინედლე აქვს. ვარდა ამისა, სამასაღლე ხე დაიწუნება, თუ ძას ნუერი ან სისეველე ბუერი აქვს; თუ დახეთქილია, თუ ძას სიღამძლე შეჭნარჯია.

ს.ს ძასაღა რა საჭიროა, როცა კედლები აგურისაა, ანუ, როგორც იტყვიან, ქვითვირისაა, ეგ შენც კარვად იცი; მე მხოლოდ მოგაკონებ. იქ, სადაც კედლები აგურისაა, სის ძასაღით აკეთებენ კარებს, ფანჯრებს, იატაკს ხშირად ჭერსაც. სოკ სახლს ეავრულსაც, ფიცრისას ქსურავენ.

შენობისათვის უფრო ხშირად ხმარობენ მუხას, ფიჭვს, ნამძს და წიფელს.

მუხა ძალიან ძეგარი და უდრევი ხეა. სინოტიე, სითბო, უცვლელი ჭაერი, ეველა ეს მუხასეგდ თითქმის არ მოქმედებს. მუხა მხელად ღნება; წყალში ხომ თითქმის სრულიად არა ღნება. ახალი მოჭრილი მუხა მოკვითანო ფერისაა და თან-და-თან მუქ ფერს იღებს.

მუხას სასოცადოდ იშვიათად ხმარობენ, რადგან ეველ-  
გან არ იძლევა ზ მუირიც არის. ფიჭვის უფრო ხში-  
რად ხმარობენ. ფიჭვი გვიანა ღებება, რადგან ფისო-  
ვანი ნაწილები ბევრი ურევია და არ უშუებს ნოტიო  
ჭაერის ღენას. თუთონ ხე მსუბუქია და ძვარო. ხმა-  
რობენ კარებისათვის, ფანჯრებისათვის, იატაკისა-  
თვის და სხვ. წიფელი მოწითანო, ძვარო ხეა. ნო-  
ტიო ჭაერში ძალე ღებება. ხმარობენ უფრო ხის სა-  
ხლების ასაშენებლად. — ნაქვი მოთეთრო, რბილი და  
ფიჭვხედ მსუბუქია. ჭაერის ცვლილება ძალიან ცუდით  
მოქმედებს ამ ხეხედ. რადგან იგი ცოტა ფისოვანია,  
ძალე ღებება.

— ამ ხანად კმარა, გეგო ასლა წავიდეთ და სადილს  
შევედეთ, თორემ შინ გვიცდიან ალბათ, სომ იცი...

შენი მუგობრა ანი.  
მეტი მარტო მარტოვე დადმის შინ დასოვეს თო-  
რბოვე მოქმე გომ ვემოქ დამომ მუგობრა ანი.  
მეტი მარტოვე მარტოვე დადმის შინ დასოვეს თო-  
რბოვე მოქმე გომ ვემოქ დამომ მუგობრა ანი.  
მეტი მარტოვე მარტოვე დადმის შინ დასოვეს თო-  
რბოვე მოქმე გომ ვემოქ დამომ მუგობრა ანი.  
მეტი მარტოვე მარტოვე დადმის შინ დასოვეს თო-  
რბოვე მოქმე გომ ვემოქ დამომ მუგობრა ანი.  
მეტი მარტოვე მარტოვე დადმის შინ დასოვეს თო-  
რბოვე მოქმე გომ ვემოქ დამომ მუგობრა ანი.  
მეტი მარტოვე მარტოვე დადმის შინ დასოვეს თო-  
რბოვე მოქმე გომ ვემოქ დამომ მუგობრა ანი.

ბერი-კაცი და ღვეი.

(ხალხური ზღაპარი).



ბერი მოხუცებული, ღარიბი და წვრილ-შვილი გლეხი იყო. ერთხელ ტყეში წავიდა და შეჭხვდა დევს. დევმა უთხრა: „ერთი ძროხა მყავს გასაბარებელი: თვე-წინ ერთ ხბოს იგებს და ღლეში სამ თუნგ რძეს იწვევს; თუ გინდა აიბარე სამის წლით, სამ წელიწადს უკან მოვალ, სამ სიტყვას გეტყვი, თუ ამისანი—ძროხა შენი იყოს, თუ არა და დაგჰამთო.“

— წავალ ჩემ ცოლ-შვილს დავეკითხებო, უპასუხა ბერი-კაცმა. წავიდა ცოლსა ჰკითხა. ცოლმა უპასუხა: „ამ სამ წელს ხომ მაძღრები ვიქნებით და მერე რაც მოგივია—მოგივია.“

ბერი-კაცმა მოიყვანა ძროხა. ზავიდა სამი წელიწადი. უკანასკნელი ღლე როდესაც დადებოდა, ამათთან ერთი გლახა მოვიდა და სთხოვა: ამაღამ აქ თავი შემაფარებინეთო.“

— ღიდის სიამოვნებით, უთხრა დედა-კაცმა, მაგრამ ამაღამ ჩვენ დევმა უნდა შეგვჰკამოს და შენც ხომ შეგჰკამს.

— რა ვუყოთ: რაც თქვენ—ის მეო.

იმ ღამეს გლახას კარგი ვახშამი მიართვეს, რაც კი იმათ სისაწყლეს შეეფერებოდა. ჰვეშაგებიც ზემო თაროს გაუშალეს, მაგრამ გლახამ არ ინდობა და კარებთან მიწვა.

ღამე როდესაც გატყდა, მოვიდა ღვეი, დაარახუნა კარი, და შესძახა: ბერი-კაცო, ეს თორმეტი!

— რის თორმეტი, უთხრა გლახამ: თორმეტი ძმა როდეს იყოს სახლში და თორმეტი უღელი ხარი ჰყვანდეთ, ზოგი აღმა ჰხნავდა, ზოგი დაღმა და ღმერთი უშველიდათო.“

ღვემა შესძახა: „ნოეო!“




- მეც ეხლა მოველო, უპასუხა გლახამ.
- სად იყავ, რო მოხველო?
- ზღვას გაღმა ვიყავი; ყვაფი შევკაზმე, ცხრა მარლის ქვა ავკიდე, მეც ზედ შევჯექ და ისე გამოველო.
- ბახალა ყოფილაო, უთხრა ღვემა.
- როგორი ბახალა: იმისი ჩრდილი ერთს ქალაქსა ჰფარავდაო.
- პატარა ქალაქი ყოფილაო.
- როგორი პატარა: თავში რო სახედარს დაეყვირა, ბოლოში ხმა არ გავიდოდაო.
- ჩოჩორი ყოფილაო.
- რის ჩოჩორი: იმის ტყავისა კაცს ქურქიც გამოუფიქვდა, ქულაჯაცაო.
- პატარა კაცი ყოფილაო.
- როგორ პატარა: იმის მუხლზე რო მამალს დაეყივლა, ვერ გაიგონებდაო.
- შრუ ყოფილაო.
- შრუ როგორ იყო: მალლა რომ ირემს ეცოხნა, ძირს ის გაიგონებდაო.

ღვემა სიტყვა ველარ მოახერხა. მაშინ გლახამ დასწყევლა ღვევი: „შენამც ჰქცეულხარ მუხის კუნძათ, შიგ ნაჯახი-ტული ერქოს; გამოდიოდეს ეს ბერი-კაცი, გქრას და ისევ უღვევი იყოვო.“ ასე ასრულდა კიდევცა.

თურმე ეს გლახა იესო ქრისტე ყოფილა.

მ. ნახაიქ.





სჯობს სამხრეთ თვით უნა მკალო, ვიდრე მისი სხვა მოუ-  
ცალო.



მისა მინდორზე გზის პირას ტორლოამ ბუღე გამართა,  
ჩაჯდა, დაჩაქა ბარტყები და ამით ასე მიმართა:

— თქვენ გენაცვალოთ დელო,  
შური დამიგდეთ, გასწავლოთ  
რაც რომ თავს გადამხდებო...

მე რომ საქმლისთვის წავიდე, ჩემგან ეს გებარებათო:  
დინჯად ისხედით, გამელოელსა ყური დაუგდეთ ჩუმათო;  
მკადეთ, ყველა შეიტყეთ, რასაც იტყვიან ჩვენზეო!..  
მს რომ სთქვა, ფრთები გაშალა და გადაგოგდა მთებზეო.

როცა მობრუნდა, შეილოებმა ეს მოახსენეს: დელო,  
მხლა წავიდეთ აქედგან, შავი დღე დაგვადგებო:  
დღეს ერთი გლეხი შეილითა ჩვენს ახლო ტრიალებდო,  
ამას ამბობდა: მინდორსა გათიბვა დასჭირდებო.  
ხვალვე მეზობლებს, მეგობრებს გამოეცუტხადებ საშველოთ,  
მრ საათს სრულოდ გასთიბვენ, ხვალისთვის აღარ დარჩებოთ.

— ნუ გეშინიანთ შეილებო! რაკი სხვას ანდობს საქმესო,  
ბევრი თვეები გაიელოს, დედა-თქვენი აქ დარჩესო.

ზავიდა დღენი... მეორეთ ბარტყებმა უთხრეს: ბატონო,  
მხლა კი დროა აქედგან რომ სხვაგან გადაგვიყვანო:  
დღეს იგივე გლეხი ამბობდა, მეგობართ მილალატესო,  
იმით ჯიბრზედა ეხლოვე შეეკრეფავ ნათესავებსო.



—ნუ შეშინდებით, შეილებო, ის ეხლაც მოტყუებდნენ,  
თქვენ მშვიდობითა ისხედით, გენაცვალებათ დედაო!



სოტა ხნის შემდგომ ისევე დედას უამბეს კრძალვითა:  
ის გლეხი ისევ მოვიდა ჩვენს ახლოს საესე ბრაზითა.  
აღარც ნათესავს ვენდობი, ამათაც მომატყუესო,  
და ამათ ლალატისათვის მალე ავუბამ თვალებსო.  
წავალ მე თვითონ მოვითბავ, ორ დღეზე გავათავებო,  
მრ-გულობისთვის ნათესავთ კარზე არ გავატარებო.




მს რომ უამბეს დედასა, მას გული აუძგერდაო:  
—მხლა კი, შეილნო, წაფიდეთ, ავი დღე დაგვადგებაო!...  
მინამ სხვისა მას იმედი ჰქონდა, სხვას შეჰყურებდაო,  
მინამდის ჩემი გულიცა არალოს გასძახებდაო...  
ახლა კი, რა რომ თავის თავს თვითონვე ეხმარებაო  
თქმა აღარ უნდა, საცდელი კარებზე მოგვადგებაო!..



რა გაათავა დედამა, მოჰყვა გადასახლებასა,  
იზონა სხვაგან ადგილი და იქ მიეცა მღერასა.

ა. ნ—ძე.



ზამთრის სურათი.

გ. ა. მ. გ. ც. ხ. ჯ.



ძიმედ დაქრილი მხეცივით  
 ბამწარებულად მყვირალი  
 მინდვრად და მთაში გლოვის ხმით  
 საზარლად ღმუის გრიგალი...

ხან რისხვით დაიგრიალებს,  
 მოვლსა ხვეტს მინდორ-ველადა,  
 და ხეებს, ჩაფიქრებულებს,  
 აკენებს გულ-საწველადა;  
 ხან კი კარს უკან ქვითინებს,  
 მითქვას სიცივით კვდებაო,  
 და სახლში გასათბობელად  
 შემოსელას გვევედრებაო...  
 სეცხლის პირს დამშვიდებულად  
 ზის და საუბრობს ბებია:  
 მისი ხელობა ზღაპრები  
 და ძველი არაკებია.

მას ყურს უგდებენ მღუმარედ  
 მისი შეილისა შეილები,  
 ბუგულებივით მის გვერდით  
 საყვარლად ჩახსდომილები...  
 ხან ჩააფიქრებთ ზღაპრები,  
 ხან წყნარად ჩაეცინებათ,  
 და, რა სძლევთ ძილი, ბებრის  
 მუხლებზედ მიეძინებათ...

გ. ს. კ. ლ. ი.



მ უ ქ თ ა - ხ რ ა ა .



ყო ერთი ზარმატი და მოსულელო კაცი. არც სა-  
რჩო-საბადებელი გაჩნდა-რა და არც არას მუშაობდა,  
თუმცა ჯან-სალი კი იყო. ხან ერთის მეზობლისას მი-  
ვიდოდა, ხან მეორისას: ვის სასმელს თხოვდა, ვის საჭმელს, ვის  
გამონაცვალსა, და ასე, ამ რიგად, გამოდიოდა. სირცხვილ-ნამუ-  
სი დაჰკარგოდა და მეზობლებიც თავიანთ გულ-კეთილობით არ  
აწბილებდნენ, ხელს უწყობდნენ; გულში კი არავის არ მოსწონ-  
და მისი საქციელი და, როცა დაინახავდნენ, ჩაცინებით იტყოდნენ  
ხოლმე: „მოადის ჩვენი მუქთა-ხორა, უთუოდ რისმე თხოვა უნ-  
დაო!“ ისიც, თითქო ვერ ნიშნავდა ამას, თავისას არ იშლიდა...  
ბოლოს და ბოლოს ყველამ ხელი აიღო და, არა თუ მარილს  
არ აძლევდნენ, მარილიან სიტყვასაც აღარ ეტყოდნენ ხოლმე.

ბაუჭირდა საქმე მუქთა-ხორას, მაგრამ შრომას მაინც სხვა  
ლონის-ძიება არჩია: საცა დაახელებდა, ხელ-ციობასაც არ თა-  
კილობდა. ახლა კი ყველამ აშკარად შეიძულა და ახლოსაც  
აღარ წაიკარეს: დიდები სულ ამხილებდნენ და პატარები ყიჟინას  
აყრიდნენ. მაზრაზებული მუქთა-ხორა აქეთ-იქით დარბოდა და  
ბუტბუტებდა: „ადამიანები სულ ბოროტები არიან, გლახაკის  
შებრალება არ აქეთო. ჰსჯობს იმას შევთხოვო, ვინც ყოველდ-  
მოწყალე არიოა.“

წავიდა, მონახა ერთი მიჩქლამული ადგილი... ცას ხელი აუ-  
ტოტინა და ლაღადებდა: „ღმერთო, დამბადებელო და ქვეყნის მარ-  
ჩენელო! მიბოძე სარჩო მე საწყალსა და გაჭირებულსა!.. უკუ-  
რა, უყურა — არა გამოვიდა-რა. მაიმეორა ვედრება, გაიმესამა...  
ჰა, ჰა, ჰა!.. მოესმა შორი-ახლოდამ: „შენ პირი დაადე!..“  
მოიხედა — მეზობლიანთ ბიჭები ყიჟინას აყრიან, შერცხვა, აი-



ძორწა და წავიდა, თანაც ბუტბუტობდა: „მე ამ მასხრებში ვერ დავემალეები: წაველ მთაზედ, იქილამ ღმერთსაც უფრო ადვილად გავაგონებ და ადამიანებიც შორს იქნებიანო.“ მასწია მთისკენ.

იარა, იარა, შემოხვდა მგელი: კაცო, კაცო! სად მიდიხარო?  
— ღმერთთანაო.

— თუ ვერა, ერთი ეს შემიტყვე: ყოველი ცხოველის ხორცსა ვკვამ და ჩემს გასუქებას არა ეშველა-რა და რა ვკვამო ისეთი, რომ გავსუქდე-თქო? სანამ მოხვიდოდე, მე აქ დავიკდი.

— ძარგი, კარგი! უთხრა მუქთა-ხორამ და გასწია.

იარა და წაადგა მუხას.

— კაცო, სად მიდიხარ?

— ღმერთთანაო.

— თუ მართალია, იმდენი სიკეთე მიყავ, ეს შემიტყვე: ცალი გვერდი მიხმება და რა მიზენია, ვერ გამიგია.

— ბატონი ბრძანდები! უთხრა მუქთა-ხორამ და გასწია თავის გზით.

იარა, იარა, მიადგა მდინარეს.

— კაცო, კაცო! სად მიდიხარ? გამოსძახა წყლილამ თევზმა.

— ღმერთთანაო, უბასუხა.

— აბა, გეთაყვანე, ეს შემიტყვე: მარცხენა თვალი რომ დამიბრმავდა, რა მემიზენება?

— ადვილი სამსახურიოა, ამასაც უთხრა მუქთა-ხორამ და შეუღდა მთის გზას...

მთის წვეროზე რომ ავიდა, იქ ერთი ირემი შეხვდა.

— კაცო, აქ რამ ამოგიყვანა?

— ღმერთთან ცოტა რამ საქმე მაქვს და იმისთვის ამოველი.

ირემი ხომ გულ-კეთილი ცხოველია და კაცს წინადადება მისცა:

— ეს მთის წვეროა და, თუ ამის ზევით გინდა კიდევ ასვლა, ჩემი ტოტებიანი რქები კიბედ გამოგადგება.

მუქთა-ხორას იამა, მოახტა ირემს ზურგზე, მოეკიდდა ტუტებს და, რომ მიჰყვება ტოტიდამ ტოტზე, უეცრად ზეცილამ ხმა შემოესმა:

— მიწიერო! სად მოპოტინობ?

— შენთან, ყოვლად მოწყალეო! მიუგო მოწიწებით მუქთა-ხორამ.

— მითხარ, რას ითხოვ?

— სარჩო არა მაქვს და იმის მოწყალებას გვევძრები, შენი მუხლის ქირიმე.

— უკანვე დაბრუნდი და შენი სარჩო წინ დაგხვდება, მიიღო პასუხად. მერე მუქთა-ხორა შეეკითხა მგლის, ტევზის და მუხის საქმეს. სამთავეს პასუხი შეიტყო, ღმერთს მადლი მისცა, ირემსაც დაუმადლა და გამობრუნდა.

სიხარულით ცას ხელი უწვდებოდა და, არ კი მოდიოდა, მოკუნტოშობდა.

მალე მოაღწია ტევზთან.

— რა ჰქენ? ჰკითხა ამან.

— მარცხენა ლაყუჩაში ერთი აღმასი გაგხერია: ის გამოიღე და თვალი გაგისაღდებაო, მოუტანა პასუხად მუქთა-ხორამ.

ტევზი ეხვეწება: რახან მადლი ჰქენ, მარილიც მოაყარე და მიშველე.

მუქთა-ხორამ აღმასი გამოუღო და ტევზს თვალი გაუნათლდა. მადლიერმა ტევზმა ის აღმასი მუქთა-ხორას გასამსჯელოდ მისცა, მაგრამ ამან ზიზლით მოიქნია ის და წყალში გადაისროლა.

— რათ მინდა?.. ჩემი სარჩო წინ დამხვდება მე! ჰსთქვა ამაცად და გაუდგა თავის გზას.

— მ რა რეგვენი ვინმე ყოფილა, თქვენი ქირიმე, წაიყუტუქუ ტევზმა, და მისცა თავი ანკარა ზვირთებს.

მუქთა-ხორამ იარა, იარა და მოატანა მუხას.

— შემიტყე რამე? ჰკითხა მუხამ.

— როგორ არა: ე მაგ მხმობიარე გვერდით ძირში ხალხში გაქვს თურმე დამარხული: ის ამოიღე და გვერდიც გაგინედლებო.

მუხაც მასვე შეეხვეწა შეველას. მუქთა-ხორამაც მუხას ძირი გაუთხარა და ხალხში ამოიღო: მუხას გვერდი გაუნედლდა. ხალხში პირამდე სულ ოქრო-ვერცხლით სავსე იყო. მადლიერმა მუხამ ეს განძი გასამსჯელოდ მუქთა-ხორას შეაძლია.

— რაღა ამას ვეზიდო: ჩემი საჩიო წინ დამხედებო! წაილაპარაკა ამან ცხვირ-აწვეით. ხალხს წიხლი ჰკრა, ხრამში გადალექა და წამოვიდა.

— ე რა ზარმაცი და ბრიყვი ვინმე ყოფილა, ჩაიბუტბუტა მუხამ: მას თუ არ უნდოდა, სხვა მოიხმარდა მაინც... ნახავთ, თუ მავას სიკეთე მოუა! დაუმატა მუხამ და გაკვირვების ნიშნად ფოთლები შეირხია.

მუქთა-ხორამ მოაღწია მგელთანაც.

— პაი პასუხი მოგაქვს მაინც? შეჰკითხავს მგელი.

— ნამდვილიო, უთხრა მუქთა-ხორამ: ადამიანის ხორცო ჭამეო და გასუქდებო.

— ადამიანიც ხომ შენა ხარ, უთხრა მგელმა, და გაგლიჯა შეაზედ...

მეორეს დღეს პატარა მწყემსებმა ტყის პირად ტანისამოსის ნაუღეთები იპოვეს და სოფელში მოიტანეს. ჰველამ მუქთა-ხორას ტანისამოსად იცნო და, თუმცა არ უყვარდათ, მაგრამ მაინც დანაღდათ მისი ეგრე უწყალო დასასრული. ერთმა მოხუცმა ამოიოხრა და პატარების საგულისხმოდ ჰსთქვა:

ქვეყნა საგარჯილოა,  
ზარმაცი სათაქილოა;  
მისი სიგოცხლე, სიკვდილი  
სატირად-სასაცილოა.

პ. ე

### მ. ლ. ფ. ბ. ა. ნ. მ. ც. ა. რ. ბ. ი.

(ასტორაული მოთხრობა)



ალმა პრავას ახლო, ერთს ქედზე, რომლის ძირში მდ. მოლდავას ჩქარი ზვირთები ხმიანად მომდინარეობენ და იფანტებიან ბოლემიის ტყეებში, იღვა ღარიბული სახლი. მრთს სალამოს იმ სახლის გლახა ოთახში შეიკრიბა ერთი სახლობა, რომელსაც შეადგენდნენ ბებერი მემუსიკე თავისი ცალით და ორის შეილით: ერთი იყო ვაჟი, ასე ექვსის წლისა, და ქალი, რომელიც ჯერ თერთმეტის წლისა არ იქნებოდა.

როგორც ხანდა, საშინელ სილატაკეში იყო ეს სახლობა. სიოდა, მაგრამ ერთი ნაბერწკალიც არა ბუყუყავდა იმათ ბუხარში. ბავშვებს კიდევ შესაფერი ტანთსაცმელი ეცვათ, მაგრამ იმათი მამის საცმელი-კი სრულიად გაცვეთილი და გახუნებული იყო. დედის კაბა ისეთი თხელი და მიძველებული ფარჩისა იყო, რომ კაცი ძნელად მიხვდებოდა იმის თავ-და-პირველ ფერს. მთხი ძველი ჩალის სკამი და ერთი ძველებური მოწყობილობის ფორტოპიანო შეადგენდნენ იმ ოთახის სამკაულსა.

სახლში მყოფნი მწარე ფიქრს მისცემოდნენ და, თითქოს, არც ერთს არ უნდოდა მისი შერყევა: დედა დაღონებული ართავდა; მამა კითხულობდა დიდ წიგნსა, რომელიც „აბადება“ უნდა ყოფილიყო; ქალი დაზღის წინდას ჰქსოვდა; პაწაწა ვაჟი კი ერთს წამს არ ისვენებდა: მშობლების და დის გარს რაღაცას ტრიალებდა, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ეხმაურნა, ეცეცქნა, რომ ამითი ყურადღება მიექცია. მაგრამ ამის დარდი ვის ჰქონდა: ყურადღებაც არა ვის მიუქცეოდა. ბავშვი გაჯაერდა, რომ იმას ყურს არ ათხოვებენ. ის ეცა ფორტოპია-



ნოს, როგორც იყო შეფოფხდა სკამზე და დაიწყო დაკვრა. რამდენიმე ხმა აიღო ისეთის სისწრაფით და გარკვევით, რომ კაცს გააოცებდა ამ გვრი ნიჭი იმ სუსტი და ნორჩი ბავშვისა. შემდეგ და შემდეგ უფრო გაახურა დაკვრა, მიეცა ბავშვურ ალტაცებას და იმის პაწაწკინტელა თითებმა ფორტოპიანოს თელე-ბზე ფრინვა დაიწყეს. ხან ისეთი ღონით დაჰკრავდა ხოლმე, რომ ფანჯრები ბზრიალს მოიღებდნენ და ხან ისეთის ხმის მიქცევა-მოქცევით, რომ იმის მსმენელებს ცრემლები მოსდიოდათ; ყველაში პირი დააღეს: მამამ წიგნის კითხვას თავი დაანება, დედამ თავის ნართი გადააგდო, ქალმა თავის წინდა კუთხეში მიდო... და საკვირველ ბავშვს გაოცებით, ცქერა დაუწყეს.

— მოდი, მოდი ჩემთან! მომხეხე, ჩემო მოლუფანგო! უთხრა მამამ. თავის ღროზე, ღვითთ კაცი გამოხვალ, გამოჩენილი მემუსიკე, ყველგან შესანიშნავი კაცი!.. საბრალო შეილო, საბრალო ბავშვო!.. ოჰ, რატომ შეძლება არა მაქვს, ბედნიერი კაცი გამოგიყვანო!..

— შენ ვეთაყვა, მითხარ, მამილო! მიუგო მამის ალერსით გამხნეებულმა პაწაწა მოლუფანგმა: როდის ვივანშმებთ? ძალიან მშვიან, აი...

— საბრალო შეილო! სიმწუხარით წარმოსთქვა დედამ, რომელიც ადგა, გააღო უჯრა, აიღო პურის ნაჭერი და მისცა თავის ვაჟს. — შამე, გენაცვალოს დედაი! დაუმატა დედამ და მოიწმინდა ცრემლები. — შამე! ამის მეტი არა მაქვს-რა.

— ჩემ დასა? ჰკითხა შეილმა და აიღო პურის ნაჭერი.

— იმისთენაც მაქვს შენახული: როცა მოჰშივა, მაშინ სკამს, უბასუხა დედამ.

— შენთენა, დედილო?

— მე... მე არა მშვიან.

— მამასა? დაუმატა ბავშვმა, რომლის სახეზე უსიამოვნობა გამოიხატა.

— მამა შენც... ეგეც... არ არის მშვიერი, უთხრა დედამ და მეტი ვეღარ შეიკავა თავი ცრემლებისაგან.

მაშინ ქალი, რომელმაც დააგდო თავის წინდა, მკლავს და  
ლდა დედასთან, მიხუტა ძუძუებში და ტირილით უთხრა:

— დედო! არც შენთვის და არც მამასთვის არ არის პუ-  
რი და იმიტომ ამბობ, მშვიკები არა ვართო!? ოჰ, ჩემო სა-  
ყვარელო დედაე, არც მე მშინ!

პაწაწა მოლფეანგი შესცქეროდა დედას და დას და არა  
სჭამდა.

— არა, გენაცვალოს დედაი: არა მშინ! ბარწმუნებ, რომ  
არა მშინ. ჭამე პური, გენაცვალები! ჭამე, ჩემო შრედერიკა!

— დედო, მაშ ანგრე იყოს, მაგრამ ერთსა გთხოვ: მე  
ჩემს პურს მოგიტეხ.

— მაშ მე მამას მოეუტეხ, სთქვა მოლფეანგმა. ბასტეხა თა-  
ვისი პურის ნაჭერი ორად და ნახევარი მამას მისცა. — აიღე,  
მამილო, აიღე! თუ არა და, ხელოსაც არ ვახლებ ჩემ ნახევარსა,  
აი! ისე მართალს გეუბნები, როგორც ის არის მართალი, რომ  
მე მოლფეანგ მოცარტი ვარ.

საწყალმა მამამ თავი ველარ შეიმაგრა და ცრემლი ჩამოუ-  
გორდა პურზე, რომელიც შეიღმა მისცა.

— ანასრულოთ, ჩემო მეუღლეე, ჩვენი შეიღების სურვი-  
ლი!.. ოჰ, ღმერთო ჩემო! რათა ვარ ასე ღარიბი?

— ბანა, მამილო, შენ ძიელ ღარიბი ხარ? ჰკითხა გულ-სა-  
კლავად ვაჟმა.

— ოჰიმე! მიუგო მამამ: ეს უბედურება კაი ხანია, რაც მე-  
წვია, ჩემო შეიღებო! მას აქეთ, რაც მე ცოლი შევირთე, გა-  
კივრებიდამ ვერ გამოვსულვარ; ვაცხოვრებდი და ვინახავდი ორს  
სახლობას: დედიჩემისას და ჩემი პირველი ცოლისას შეიღის  
შვილით. რომ შემძლოს ჩამოთელა რამდენი ქირი, რამდენი  
უბედურება, რამდენი სხვა-და-სხვა დასაკლისი გამოვიარე, მაშინ  
თქვენ თვითონ დაინახავდით რომ ჩემს ცხოვრებაში ჩემის სია-  
მოვნებისათვის ერთი ფარაც არ დამიხარჯნია, და, თუ ვალეები  
არ წამომიკიდნია, ეს დიდი ღეთის წყალობისაგან.

— სულ მართალია! სთქვა ამოხვნეშით ცოლმა.

ბავშვები უსმენდნენ მამას და პურს არ უჭებოიან. მამამ გა-  
ნაგრობა ლაპარაკი:

— შოველი წუთი ჩემის ცხოვრებისა შემოგწირეთ თქვენ, ჩე-  
მო შეილებო, რომ ლუქმა პურის შოვნის ღონისძიებაც არი  
მოგკეთ.

— ჩვენ თქვენთვისაც ვიმუშავეთ, ჩემო მამილო! გააწყვე-  
ტინა ახალგაზდა შრედერიკამ.

— მართლა, დაო! უთხრა ღინჯად ძმამ, ისე ღინჯად, რო-  
მელიც არ შეეფერებოდა იმის ბავშვურ სახეს და ნაზს ხმას:  
მამა აქნამდის ჩვენთვის მუწაობდა, რატომ ჩვენ კი არ უნდა  
ვიმუშავოთ იმისთვის?

— შენ ჯერ კიდევ ძალიან პატარა ხარ, უთხრა შეწუხებუ-  
ლმა მამამ.

— ძალიან პატარა!? გააწყვეტინა მოღფგანგმა. ძალიან პატა-  
რა!?! მე მალე ისეთი დიდი გავხდები, ისეთი დიდი, რო... რო,  
აი, იმ ჩემი ფორტოპიანოს ტოლა!

— ოჰ, შენი კირიმე, ჩემო თვალის ჩინო, ჩემო! უთხრა  
დედამ და გაუტარა თავის გრძელი და გამხმარი თითები ბავშვს  
ქერა თმაში. აბა, რას იზამ შენა? რის გაკეთება შეგიძლიან შენ  
მაგისთანა სუსტსა და პაწაწკინტელს?

— მამამ კარგა იცის მუსიკა. ის ამბობს, რომ მე კარგა ვუ-  
რავ ფორტოპიანოსა, ისე, როგორც ნამდვილი დამკრეფელიო. მაშ  
მე გაკეთილებს მიეცემ, სხვას ვასწავლი.

თვალ-სრემლიანმა მშობლებმა მწარედ გაიღიმეს.

— აბა, ვის ასწავლი? შენზე უფრო პაწაწა შეგირდებს სად  
იპოვნი? უთხრა დედამ და შუბლზე აკოცა.

— მე იმათ ვასწავლი, ვინც ჩემზე უფრო ღიდებია. მითომ  
რამ?!.. რა კარგი იქნება და!..

— ღმერთმანი, დედილო, ეგ მართლა აასრულებს, უთხრა  
შრედერიკამ. ზამიგონეთ, რა გითხრათ: წუხელ ჩვენ დიდი სა-  
სახლის ახლო დაესვირნობდით, აი, ჩვენი თანჯრებიდამ რო  
ჩანს, იქა!.. იმ სასახლის ქალბატონმა დაგვიძახა და გვითხრა:

„ვისი შვილები ხართ? შემუსიკე მოცარტისა ხომა რა? — მე ვუპასუხე, „ჰო“-მეთქი. ის მოლფვანგზე მითითებს და მეუბნება: „მამე ვგ ის ბალია, რომელიც ისე მშვენივრად უკრავს ფორტოპიანოსაო?“ .. — მე განლავარ, ბატონოო!“ მიუგო ჩემმა ძმამ და გამოუქიმა იმ ქალსა. იმ ქალმაც გეთხოვა სახლში შეესულიყავით. შევედით. მოლფვანგი ფორტოპიანოზე მიიწვია. რა საუცხოვო ფორტოპიანო უდგია მერე: სულ ოქროს ვარაყებით და ყვავილებით არის მორთული. ასეთი მადლიერი დარჩა ის ქალბატონი ჩვენი დაკვრით, რო... მეც დაუყარი, აი... ისე მადლიერი დარჩა, რომ ფული გვაჩუქა... შენ არ მოგეცი, დედა!..

— აკი მამავე, შვილო! უთხრა დედამ: რალად მიმეორებ.

— ჰო, მე ეხლა კარგად მახსოვს! შეჭყვირა მოლფვანგმა. მთუ მამა ნებას მოგეცემს, ჩვენ სამგზავროთ წავალთ. ჩვენ თავაზიანები ვართ, მოვივლით მთელ ქვეყანას; ყველანი მიგვიწვევენ დასაკრავად, ყველგან გვაჩუქებენ ფულებს; და ჩვენ, მამილო, იმ ფულებს შენ მოგიტანთ. მაშინ აღარ იქნები ღარიბი, მაშინ მდიდარი გახდები.

— ა, მეუღლევ! ეს ცუდი აზრი არ არის, არა? სთქვა თავის ქნევით შემუსიკემ.

— ეს მოგზაურობა დაჰლალავს და ბოლოს მოუღებს ამით, უპასუხა გულჩჩვილმა დედამ.

— იქნება შრედერიკას დალალავს, თორემ მე არას დროს. მკ!.. მე ვგრე მალე არ დავიღალეები! მე დღეს სულ ცოტა, სულ ცოტა, ოც-ჯერ მაინც ამირბენია იმ ჩვენ სერზე. მთუ მამა ნებას მომცემს, თუნდ ეხლაცე მოვყევი კიდევ არბენ-ჩამორბენასა.

— მეც არ დავიღალეები, სთქვა შრედერიკამ. მრთი ის აზრი, რომ ჩემი ღარიბი მშობლებისათვის სასარგებლო შვილი ვიყო, არ მაგრძობინებს დალალვას.

— მო, ჩემო თვალის ჩინებო! არა, მე უბედური არა ვარ! შეჰსახა მამამ აღტაცებით. როდესაც ღმერთი თქვენისთანა ორ



ანგელოზს, მისცემს კაცსა, ჩემო შეილებო, ის ვერ ჩასთვლის  
თავის თავს უბედურათა.

— ლეოპოლდ! უთხრა აღლევებულის ხმით ცოლმა თავის  
ქმარს: დავიჯერო, რომ შენ ჰფიქრობ ისარგებლო ამ ორი პა-  
წაწკინტელა სულიერების ნიჭიერებით და ნორჩი შრომითა?

— რატომ არა, ჩემო ცოლო!.. მეტი რა ჩარაა!.. რას იქ,  
აბა! მიუგო ქმარმა.

— მე გეშინიან...

— გეშინიან!? დედა, რისა გეშინიან? ჰკითხა პაწაწა მოლფ-  
განგმა. მე კი სრულებითაც არ გეშინიან და! მე კარგა ლაზა-  
თიანად შევალ ზალაში; ჩაუფუჯდები ფორტოპიანოს... შენ ნა-  
ხავ, რომ... დაუწყებ დაკრას... დაუკრავ და მეტე როგორ  
დაუკრავ! სულ ვატირებ. იქნამდინ დაუკრავ, მინამ მამა არ  
მეტყვის „ქმარაო!“

— მეტე კი, როცა ჩემი ძამია დაიღლება, მე მივეშველები,  
სთქვა შრედერიკამ. ოჰ, საყვარელო დედა! ნუ შეგვიშლი ხელს  
ამ საქმეში, ნუ! მე დილით და საღამოთ ვილოცავ, რომ ღმე-  
რთმა მოგვეცეს ღონე თქვენის შემწეობისა... დედა!..

— დედა! გააწყვეტინა დას ლაპარეკი ძამ და მიეაღერსა დე-  
დას: შენ ნახავ, როგორი კუთიანი ვიქნები და როგორ ვიშოფ-  
ნი ფულებს, რომ თქვენ გაცხოვროთ. შენ თვითონ არ მითხა-  
რი, რომ ღმერთი ჰფარავს გამგონე ბავშვებსაო; მაშ ის დაგი-  
ფარავს... ე ჩემი ვახშამიც გავათავე. მხლა კი დასაძინებლად  
წავალ.

მოლფგანგს მალე დაეძინა მამის მუხლებზე.

— ჰხედავ, როგორი სუსტია! სთქვა ცოლმა და აიყენა ბავ-  
ში, რომ გაეხადნა და ლოგინში ჩაეწვინა. შეხედე!.. შენ კი  
გინდა ამასთან იმოგზავრო და მოიბოვო ლუქა პური.

— ღმერთი დიდა! მიუგო ქმარმა: ის აძლევს ღონეს უძ-  
ლორთა, გამბედაობას მხდალებსა და წარმატებას იმათ, ვინც  
ამას დაეძებენ. ხეალ მე ჩემი შეილებით გაუდგები გზას და...

ღმერთი და ბედი! მოამზადე, ჩემო ცოლო, სამგზავროსა და სიკვდილისა  
 ბი; ხვალ მზის ამოსვლამდე უნდა გზას გავუდგეთ.

— იყოს ნება უფლისა, სთქვა კეთილმა ცოლმა.

მთის საღამოს მენაში აესტრიის ხელმწიფის ცოლს, მა-  
 რიამ-ტერეზას დიდი მეჯლისი ჰქონდა. ბრწყინვალე საზოგადოე-  
 ბით კიდევ აივსო დარბაზები; ტანთ-საცმელს შრიალი გაჰქონ-  
 და; ყველა მდიდრული ტანისამოსით იყო მოართული და ძვირ-  
 ფასი აღმასით შექედილი. ამ დროს უცბად, ყველას გასაოცე-  
 ბლად, პირველი დარბაზის კარებში გამოჩნდა ძალიან დარბიუ-  
 ლად, მაგრამ სუფთად ჩაცმული, კაცი ორის პატარა ბავშვით.  
 სახე ამ კაცისა მშვიდობიანი, პატივსაცემი და ნაღვლიანი იყო.  
 ბავშვებს უფრო თავისუფლად ექირათ თავი და სრულიადც არ  
 შეერთნენ იმ ბრწყინვალე ბატონების და ლამაზათ დართული  
 საზოგადოების დანახვით, რომელნიც ცნობის-მოყვარეობით უ-  
 ყურებდნენ იმათ.

— ეს არის ის მემუსიკე და მისი შესანიშნავი შეილები, რო-  
 მელზედაც ეხლა მთელი მენა ლაპარაკობს? ჰკითხა იმპერატრი-  
 ცამ თავის პოლიცამისტერს.

— ღიად! მიუგო იმან: გაეზედავ დავარწმუნოთ, თქვენო დი-  
 დებულებავ, რომ მაგათ ნიქს აღარა შეეღარება-რა. წუხელ სა-  
 ლამოს საზურანგეთის ელითან უკრავდნენ: ქალმა ყველანი აღ-  
 ტაცებაში მოგვიყვანა, და ამ პაწაწა ბიჭმა ხომ სულ გააშტერა სა-  
 ზოგადოება...

— აბა, დაიწყონ! ბრძანა იმპერატრიცამ.

ღმინის მოთავემ მოიწვია ბავშვების მამა და უბრძანა და-  
 მსხდარიყვნენ ფორტოპიანოსთან. მამამ მიიყვანა. შრედერიკას  
 თეთრი სახეებით ნაკერი მერდინის კაბა ეცვა; პაწაწა პოლფ-  
 განგს კი სოსანი მაუდის ტანისამოსი, რომელსაც ორკეცო და  
 განიერი სირმები ჰქონდა შემოვლებული. პირველად შრედერი-  
 კამ ისე გარკვევით და ლაზათიანად დაუკრა, რომ ყველანი აღ-

ტაცებაში მოვიდნენ ამ გაყვითლებული და ნაწი ქალისგან და  
ზაათავა თუ არა, აქეთ-იქიდგან ტაშისა და ქების ხმა მოისმა.

პი ყმაწვილმაც მიჰყო ხელი ფორტოპიანოს...

თვითელ თვლები შენების ღროს გასაოცარი სუფთა,  
ჩინებული და ნარ-ნარი ხმები გამოისმოდა. შველას თვალი, ყვე-  
ლას მხედველობა იმ პატარა და ცქრილა თითებს თითქო ზედ  
დაკედენ, ზედ მიეცრნენო.

ბავშვის დაკრამ საშინლად გააოცა ეს ბრწყინვალე სა-  
ზოგადოება. ისე მოეწონათ, ისეთს აღტაცებაში მოვიდნენ, რომ  
არ იცოდნენ, რა ექმნათ, როგორ და რითი გამოეცხადებინათ  
თავისი განცეიფრება. ბოლოს ფორტოპიანოს თვლებზე სალ-  
ფეთკი გადაფარეს, მაგრამ ბავშვი სალფეთქ-ქვეშაც უკრავდა  
იმავე სიმარღით და სინამდელით. ხელმწიფე, ამისი ცოლი და  
მთელი სასახლე აღტაცებაში მოვიდნენ ბავშვისაგან.

მოლოფანგი შეჩერდა. საწყალი ისე დაიღალა, რომ სულს  
ძლივს-ღა იბრუნებდა. მისი თეთრი შუბლი გაწუწული იყო ოფ-  
ლისგან. ხელმწიფის ცოლმა ანიშნა, რომ იმასთან მისულოყო  
და ეკონა. ბავშვი დაეშურა ასადგომად, რომ ბრძანება შეეს-  
რულებინა, მაგრამ თავბრუ დასხა ქების ხმებმა, გაჩაღებული  
სანთლების შუქმა და უფრო იმან, რომ არ იყო ნაჩვევი დიდ-  
ხანს ჯდომას; ამიტომ იმას პირველსავე ნაბიჯის გადადგმაზე  
დალიპულსა და მოკაშკაშებულს იატაკზე ფეხი დაუსხლტდა და  
დაეცა. რასაკვირველია, სისწრაფით წამოაკვივდენ იმის ასა-  
წებლად.

— ხომ არა იტკინეთ რა! ეკითხებოდენ მას ყოველის მხრით...

— უჰ, რა ნაირადა სტახელა ამ ბავშვსა! სთქვა ხელმწიფის  
ცოლმა და პატარა მემუხიციეს შუბლიდამ ოფლი მოსწმინდა.  
მეტყობა, ძალიან დაიღალე. მართალია, ჩემო პატარავ, თუ არა?..

— არა, ქალბატონო! მიუფო მოლოფანგმა, რომელიც თან  
ახრამუნებდა დაშაქრულს ხილსა. მე ისეთი გამეხარდება, რა  
რამე ვასიამოვნო ჩემს მამას, რომ დაღალვას არ ვიგროძნობ.

— რა კეთილი გულისა ხარ! წარმოსთქვა ხელმწიფის ცალმა: მამა განა ძალიან გიყვარს?

— ოჰ, ქალბატონო! მამა ჩემი ისეთი კარგი რამ არის!.. თავის დღეში არ გამოიჯავრდება ხოლმე.

— მე იმიტომ, რომ შენ გონიერი და ჭკუიანი ბავშვი ხარ, გეტყობა.

— ეჰ! რაც შეეხება მამას, მართალია... გონიერად გახდომა ძალიან ადვილია: თუ იმას გავაკეთებ, რაც მამას ესიამოვნება, იქვი არ არის, გონიერი ვიქნები.

— რაც უნდა იყოს... მგონი, მუდამ ფორტობიანოს დაკვრა მოგწყინდება ხოლმე, არა?

— რასაცირველია, ვე უოველთვის არ მართობს, მაგრამ მამა ჩემი მეუბნება ხოლმე, რომ კაცმა სულ ის არ უნდა აკეთოს, რაც მარტო თითონ მოსწონსო.

— იცი, ჩემო კარგო? თუ შენ დაკვრას თავს არ დაანებებ, ჩინებული მემუხსივე გამოხვალ.

